პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 8 (5038)

1974 წ. 12 იანვარი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





# ბრძოლა გამწვავდა

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 10 იანვარი. XVII ტური.

ვ. სტერნინა (მოსკოვი) — მ. შული (ლვოვი) 1:0, ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) — ტ. ფომინა (ტალინი) 1:0, ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) 1:0, ტ. მოროზოვა (ლვოვი) — ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) 1:0, ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ი. მატვეევა (ალმა-ათა) 1:0. გადაიდო პარტიები: მ. ჩიბურდანიძე — ნ. გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ქ. ზვორიკინა (მინსკი), ლ. პედკო (სოჭი) — ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), ლ. სემიონოვა (კიევი) — ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი), ა. კისლოვა (ომსკი) — ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი).

17 ტურის შემდეგ მედიანიკოვას 12,5 ქულა აქვს, შულს — 12, გაფრინდაშვილს — 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, კოზლოვსკაიას — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლიუბარსკაიას — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია, ალიოხინას, გრინფელდსა და მოროზოვას — 9-9.

ფინიშზე ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. სწორს ამბობენ, ჭადრაკში წარმატება რომ მოიპოვო, ნიჭთან ერთად მტკიცე ხასიათი და ნებისყოფაც უნდა გქონდესო. ეს თვისებები სწორედ მძაფრ საფინიშო ბრძოლაშია საჭირო.

შულს თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს ჩემპიონობაში: საჭირო იყო მხოლოდ დარჩენილი პარტიების მოგება, თანაც აუტსაიდერებთან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მარტას ნერვებმა უღალატა.

სტერნინა სუსტი მოჭადრაკე როდია, მაგრამ ამ ჩემპიონატის დასაწყისში წარუმატებლად თამაშობდა. ფინიშზე კაისამ მას წყალობით გადმოხედა და ზედიზედ სამი პარტია მოაგებინა. სტერნინა შულთანაც კარგად თამაშობდა, მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობით აღელვებული სსრ კავშირის ჩემპიონი კი შეცდომებს უშვებდა.



ამ პოზიციაში შული (შავები) კომბინაციით შეეცადა ინიციატივას დაუფლებოდა.

21. ... მ:d4 22. მ:d4 მ:c5 (არ შეიძლებოდა 22. ... e5 23. c6-ის გამო) 23. ლh3 e5 24. მf5 კf8 25. კg3 მa4 26. ეe1 ეc2 27. მf3 მc3 28. ეa1 d4 29. კ:e5! (სწორი გადაწყვეტილებაა: სტერნინა ფიგურას უკან აბრუნებს და უკეთეს პოზიციას ღებულობს) 29. ... fe 30. მ:e5 ლc7 31. მ:d4 (არ შეიძლება მხედრის აყვანა 32. ლe6+ გამო) 31. ... მe2+? 32. მ:e2 ლ:e5 33. ლb3+. შული დანებდა.

ამ წაგებით შულმა ლიდერობა დაკარგა.

როცა შულის პარტიის სადემონსტრაციო დაფაზე გამოაკრეს წარწერა — „შავები დანებდნენ“, მედიანიკოვა თამამად უტევდა ფომინას მეფეს. ორი ფიგურის შეწირვით 41-ე სვლაზე გაიმარჯვა მედიანიკოვამ.

მძიმე ბრძოლა გაჩაღდა გაფრინდაშვილისა და ჩიბურდანიძის პარტიაში.

რა სწრაფად გარბის დრო! თითქოს გუშინ იყო, პატარა მაიამ მონაწილეობა რომ მიიღო მსოფლიო ჩემპიონის ერთდროული თამაშის სეანსში (საათებით), რომელიც საქართველოს ტელევიზიის საჭადრაკო ჟურნალმა „სამორინემ“ მოაწყო. მას შემდეგ სულ ერთი წელი გავიდა, მაგრამ ნიჭიერი გოგონა საოცრად დაოსტატდა, საქვეყნო აღიარება მოიხვეჭა.

ცენტრში პაიკთა კედელი რომ აღიმართა, გაფრინდაშვილმა ლაზიერით და ორი ეტლით მეტოქის მეფის ფრთა დალაშქრა. ნორჩმა მოჭადრაკემ აუღებელი ზღუდე ააგო და მერე თავად შეუტია ნონას ლაზიერის ფრთას. მსოფლიო ჩემპიონმა ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა.

**ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი**

**უფიმცევის დაცვა**

1. e4 g6 2. d4 კg7 3. მc3 c6 4. f4 d5 5. e5 h5 6. მf3 მh6 7. კe2 კg4 8. h3 კ:f3 9. კ:f3 h4 10. 0—0 მf5 11. მe2 e6 12. კg4 მd7 13. კ:f5 gf 14. კe3 ლe7 15. ლd2 0—0—0 16. b3 f6 17. ლa5 მფb8 18. c4 კh6 19. ლc3 ეdg8 20. c5 ეg6 21. მფh1 ეhg8 22. ეf2 კf8 23. b4 ლg7 24. ეg1 კe7 25. a4 კd8 26. b5 კc7 27. ლb4 მფc8 28. ლe1 ლh6 29. კd2 ლh5 30. კa5 b6 31. cb ab 32. bc მc8 33. კd2 მ:c6 34. ლc1 მფb7 35. ლc2 ლh7 36. ლb3 ეa8 37. ლb5 ლd7 38. ეb1 ეg7 39. ე2f1 მb8 40. a5 ლ:b5 41. ე:b5 მფc6 42. ეfb1.



ამ პოზიციაში პარტია გადაიდო. 42-ე სვლა ნონამ ჩაიწერა.

სტრატეგიული ბრძოლა გააჩაღეს კოზლოვსკაიამ და ზვორიკინამ. ინიციატივას კოზლოვსკაია ფლობდა. ლაზიერის ფრთა რომ ჩაიკეტა, მან პაიკებით დალაშქრა ზვორიკინას მეფე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია: ზვორიკინამ შეძლო მეტოქის პაიკების ბლოკირება. შეწყვეტილ პოზიციაში კოზლოვსკაიას მაინც უკეთესი შანსი უნდა ჰქონდეს.

სპორტის ოსტატის წოდებაზე პრეტენზიას აცხადებენ ალიოხინა, გრინფელდი და მოროზოვა, რომლებმაც დღეს ლამაზად გაიმარჯვეს.

სამ გადადებულ პარტიაში ასეთი მდგომარეობაა: პედკო უტევს ბორისენკოს, სემიონოვას უპირატესობა აქვს ზატულოვსკაიასთან, კისლოვას — ლიუბარსკაიასთან.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათებზე: თამაშობენ მ. ჩიბურდანიძე — ნ. გაფრინდაშვილი და ვ. სტერნინა — მ. შული.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# მსაჯების ერთსულოვნება

ამ დღეებში ურალის სამრეწველო ქალაქი ჩელიაბინსკი ფიგურული ციგურაობით სუნთქავს. აქ სსრ კავშირის თასების გასათამაშებლად შეიკრიბნენ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები. ოთხიდან ორ სახეობაში თასები უკვე გათამაშდა.

თავდაპირველად შეჯიბრება მოეწყო წყვილთა სრიალში. აქ, როგორც ვარაუდობდნენ, ტოლი არავის დაუდეს ი. როდნინამ და ა. ზაიცევმა. წლევანდელ სეზონში ამ შესანიშნავი სპორტსმენების გამოსვლა ფაქტიურად პირველი იყო. ისინი მაყურებელთა და სპეციალისტთა წინაშე წარდგნენ სრულიად ახალი სავალდებულო პროგრამით. შეფასებები ასეთი იყო: 5,8-6,0. რაც შეეხება ნებისმიერ პროგრამას, როდნინამ და ზაიცევმა იგი, რომ იტყვიან, უზადოდ შეასრულეს. ამას ისიც ადასტურებს, რომ შესრულების ტექნიკაში ცხრავე მსაჯმა უმაღლესი შეფასება (6,0) მისცა მოსკოველ სპორტსმენებს. მათ კარგი შეფასება მიიღეს შესრულების მხატვრულობაშიც: ორი 6,0 და შვიდი 5,9 ქულა.

II ადგილზე გავიდნენ მოსკოველები ნ. გორშკოვა და ვ. შევალოვსკი, III ადგილი დაიკავეს ლენინგრადელებმა — 15 წლის ი. ვორობიოვამ და 18 წლის ა. ვლასოვმა.

ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. კოვალიოვი. მან საბოლოო ჯამში 179,27 ქულა დააგროვა და თასიც დაისაკუთრა. II და III ადგილები შესაბამისად ხვდათ ლენინგრადელებს ი. ლისაკოვსკის (170,12) და ი. ბობრინს (169,77).

გუშინ, გვიან ღამით, ღამთავრდა ყინულზე მოცეკვავეთა შეჯიბრება.

# ნ. კურჩენკოს პრიზზე

სოხუმში დამთავრდა საქალაქთაშორისო ტურნირი ბადმინტონში. შეჯიბრება ნ. კურჩენკოს ხსოვნას მიეძღვნა. სარბიელზე გამოვიდნენ ერევნის, თბილისისა და სოხუმის ნაკრები გუნდები. პირად შეჯიბრებაში 27 სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდური შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ერევნისა და სოხუმის (I გუნდი) კოლექტივები. სოხუმის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 6:1 და ნ. კურჩენკოს პრიზიც მოიპოვა. III ადგილზე გავიდა სოხუმის II გუნდი.

ვაჟთა პირადი შეჯიბრების ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ ოსტატობის კანდიდატი ა. დავიდოვი (თბილისი) და პირველთანრიგოსანი გ. ნერსესიანი (სოხუმი). ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა საქართველოს 1973 წლის ჩემპიონმა ა. დავიდოვმა. III ადგილზე გავიდა ნ. ზაბიაკა (სოხუმი).

ქალთა შორის თავი ისახელა სოხუმელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ტ. ნიკიტინამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ერევნელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. მანუკიანი. III ადგილი დაიკავა სოხუმის 1-ელი საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. გელენავამ.

ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს სოხუმელებმა გ. ნერსესიანმა და ნ. ზაბიაკამ, ქალთა წყვილებში — ასევე სოხუმის წარმომადგენლებმა — ტ. ნიკიტინამ და ლ. გელენავამ. შერეულ წყვილებში ჩემპიონები გახდნენ გ. ნერსესიანი და ტ. ნიკიტინა.

შეჯიბრების მონაწილეებმა თაიგულებით შეამკეს ნ. კურჩენკოს ძეგლი.

გ. იაშვილი.

# იჩქარდე, მწვანე ჯეჯილო!

10 იანვარს თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა მოზარდ ფრენბურთელთა საკავშირო ზონალური ტურნირი. 9-10 იანვრის შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: 9 იანვარი. **გოგონები.** აზერბაიჯანი — სომხეთი 3:2 (12:15, 9:15, 15:0, 15:13, 15:11), ტაჯიკეთი — უკრაინა 3:1 (15:3, 8:15, 15:5, 16:14), საქართველო—მოსკოვი 3:0 (15:10, 18:16, 15:8); **ბიჭები.** ყირგიზეთი —მოსკოვი 3:0 (15:5, 15:11, 15:10), საქართველო — აზერბაიჯანი 3:0 (15:13, 15:6, 15:7). 10 იანვარი. **გოგონები.** ტაჯიკეთი — აზერბაიჯანი 3:0 (15:12, 15:11, 15:9), უკრაინა — მოსკოვი 3:1 (5:15, 17:15, 16:14, 15:12), საქართველო — სომხეთი 3:0 (15:6, 15:2, 15:12); **ბიჭები.** ყირგიზეთი — უკრაინა 3:0 (15:6, 15:6, 15:8), მოსკოვი— აზერბაიჯანი 3:1 (15:3, 15:13, 12:15, 15:2), საქართველო — სომხეთი 3:1 (15:8, 15:11, 7:15, 15:8).

სპორტს უყვარს მოულოდნელობანი. უამისოდ მას მოაკლდებოდა ის განუმეორებელი მომხიბვლელობა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს შეჯიბრებისკენ უამრავ გულშემატკივარს. მაგალითების მოყვანა, ვფიქრობ, საჭირო არ არის, რადგანაც მათი რიცხვი ჭეშმარიტად ასტრონომიულია.

რა კავშირი აქვს ამ წინათქმას კონკრეტულ საფრენბურთო შეჯიბრებასთან, რომელიც რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ლენინის სახელობის სპორტდარბაზში? თქვენ წარმოიდგინეთ, პირდაპირი. თვით ეგრეთ წოდებული სენსაციების მოყვარულთათვისაც კი ერთობ მძიმე გახდა ამდენი სენსაციის „მონელება“. ეს კი განსაკუთრებით ითქმის ასპარეზობის ბოლო ორ დღეზე, როცა თითქმის გარკვეული სატურნირო სურათი წარმოუდგენლად შეიცვალა.

პირველად მეხი ყირგიზეთისა და მოსკოვის ჭაბუკთა მატჩში გავარდა. მისმა ექომ ელექტრონივით დაუარა მთელს სატურნირო ცხრილს, „ჯაჭვური რეაქცია“ გამოიწვია და გადაიზარდა არანაკლებ სენსაციურ მატჩში: სომხეთი—უკრაინა.

სპორტული შედეგი სიხარულის ანდა სინანულის გრძნობებს იწვევს. მოსკოველთა გადამწყვეტმა მატჩმა ყირგიზეთის გუნდთან სულ სხვა ემოცია — განცვიფრება გამოიწვია. ნათქვამის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიშველიებთ: შეჯიბრების პირველი დღიდანვე მოსკოველთა მძლავრი, ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით ჩინებულად მომზადებული კოლექტივი აშკარა ფავორიტი იყო. მისი რეპუტაცია სატურნირო ციებ-ცხელებას კარგა ხანს ოდნავადაც არ შეურყევია.

საკმარისია ითქვას, რომ მოსკოველებმა შეჯიბრების მსვლელობაში ერთადერთი მარცხი აწვნიეს ტურნირში გამარჯვებულ (გვაპატიეთ, რომ მოვლენებს გავუსწარით და „საიდუმლო“ გავამჟღავნეთ) საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს. და აი, შეჯიბრების ბოლოსწინა დღეს ერთი შეხედვით უძლეველი გუნდი მარცხდება ყირგიზეთის კოლექტივთან. ასეთ შემთხვევაში მიღებულია ითქვას, რომ ადგილებზე სპორტის ამა თუ იმ სახეობის (ამჯერად ფრენბურთის) დონე საგრძნობლად ამაღლდა და წაიშალა ზღვარი გუშინდელ ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის. თუ ამ ფორმულას კონკრეტულ მატჩს მივუყენებთ, ნაწილობრივ დიახაც სწორი იქნება. მაგრამ უმჯობესია ვაკეთოთ არა თეორიული წიაღსვლები, არამედ განვიხილოთ რეალური ვითარება, ანუ ყირგიზეთისა და მოსკოვის გუნდების მატჩის ზოგიერთი საყურადღებო მომენტი.

3:0! ასეთი ანგარიშით დამარცხდნენ მოსკოველები. ყურადღება მიაქციეთ თავად პარტიების ანგარიშსაც: 15:5, 15:11, 15:10. ვერაფერს იტყვი — ერთი გუნდი, თუნდაც მშრალი სტა-

(დასასრული მე-3 გვ.).

# წარმატება სტარტზე

რიგა, 10 იანვარი. წლევანდელი სპორტული სეზონი საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერისთვის — რიგის ტტტ-ს ქალთა კოლექტივისთვის ერთობ წარუმატებელი გამოდგა. გუნდმა ვერაფრით ვერ განიმტკიცა მდგომარეობა საკავშირო ჩემპიონატში და პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში თავისთვის შეუფერებელ ადგილზეა.

ლატვიელებმა დაკარგულის ანაზღაურება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში სცადეს და მთელი მონდომებით მოეკიდნენ ამ ტურნირისთვის მზადებას. ცდამ ნაყოფი გამოიღო. დღეს ტტტ-მ ამ სეზონში პირველად სცადა ძალა ევროპულ დონეზე (შეგახსენებთ, რომ ლატვიელები 13-ჯერ იყვნენ საპატიო ჯილდოს მფლობელნი და გარდამავალი თასი დღესაც რიგაში ინახება).

ტტტ-ს მეტოქე გათამაშების სტარტზე მილანის კლუბი „სტანდა“ იყო. მასპინძლებმა დიდი უპირატესობით მოიგეს შეხვედრა — 94:35 (55:19).

განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართება 17 იანვარს იტალიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელი სასახელო და ნაყოფიერი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმსჯელა საბჭოთა მოჭიდავეების ნაკრები გუნდების გამოსვლებზე გასულ სეზონში და აღნიშნა, რომ თავისუფალი სტილის ათლეტებმა, „კლასიკოსებმა“ და სამბისტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მათ გუნდური პირველობა მოიპოვეს სამივე სახეობაში და საერთო ჯამში მსოფლიო ჩემპიონატების 20 ოქროს, 6 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

საბჭოთა ათლეტების ტრიუმფი მსოფლიო ჩემპიონატებში, აგრეთვე სხვა დიდ საერთაშორისო ტურნირებში (ევროპის ჩემპიონატები, უნივერსიადა) მნიშვნელოვანწილად განაპირობა სპორტული ორგანიზაციების, მწვრთნელების, მეცნიერების, ექიმების, საზოგადოებრივი და კომკავშირული აქტივის ნაყოფიერმა და შეთანხმებულმა მუშაობამ.

ნაკრები გუნდები წვრთნის პროცესში ფართოდ იყენებდნენ ვარჯიშის ახალ საშუალებებსა და მეთოდებს, სამეცნიერო-მეთოდური კონტროლის რჩევებს, სწრაფი ინფორმაციის საშუალებებს.

1972 წელთან შედარებით ნაკრები გუნდების შემადგენლობა 40 პროცენტით განახლდა. მხედველობაში იქნა მიღებული საერთაშორისო შეჯიბრებების ახალი წესები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სპორტული ბრძოლების ინტენსიფიკაციას, წვრთნის პროცესში ტაქტიკურ-ტექნიკური არსენალის სრულყოფას. ყოველივე ამან, თავის მხრივ, განაპირობა აქტიური შემოქმედებისკენ სწრაფვა და ჭიდაობაც უფრო აზრიანი და ხალისიანი გახდა.

მსაჯობისადმი მოთხოვნელობის მკვეთრმა ზრდამ ხელი შეუწყო ნაკრების შემადგენლობაში უფრო აქტიური, შემოქმედებითი და შემტევი მოჭიდავეების თავმოყრას.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაში, ჭიდაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაში, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში თავი გამოიჩინეს რუსეთის ფედერაციის (თავმჯდომარე ვ. ალიოხინი), ბელორუსიის (თავმჯდომარე ვ. ლივენცევი), საქართველოს (თავმჯდომარე ფ. მახარაძე) და ყაზახეთის (თავმჯდომარე ა. აკპაევი) სპორტკომიტეტებმა.

კარგადაა დაყენებული ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მომზადების საქმე ოლიმპიური მზადების საყრდენ პუნქტებში. მათ შორის პირველ ყოვლისა დასახელებულია თბილისი (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე), მინსკი (ე. ანკუდა), მახაჩყალა (ა. რაბადანოვი), კრასნოიარსკი (ნ. ვალოვი).

ამავე დროს, 1973 წლის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგიერთ წონით კატეგორიაში (52, 57, 62, 74 კგ — თავისუფალში, 52, 62, 74, მძიმე — კლასიკურში) წამყვანი საბჭოთა მოჭიდავეების ოსტატობა არ შეეფარდება საერთაშორისო სტანდარტებს.

კომიტეტის დადგენილებაში ლაპარაკია იმ რესპუბლიკებსა და ქალაქებზე, რომლებიც მაქსიმალურად არ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს და ნაკრებ გუნდებს სრულფასოვან შევსებას არ აძლევენ. მკაცრადაა გაკრიტიკებული ის ორგანიზაციები, რომლებმაც არასწორად გაიგეს ძიუდოს განვითარების მიზნები, მთლიანად შეწყვიტეს მუშაობა სამბოში და ძიუდოში გადაინაცვლეს.

არსებული ნაკლოვანებების მიუხედავად, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდებმა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში წარმატებით ჩაატარეს შარშანდელი სეზონი და თავი გამოიჩინეს მთელ რიგ მნიშვნელოვან ტურნირებში, პირველ ყოვლისა კი მსოფლიო ჩემპიონატებში.

როგორც ვნახეთ, საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილებაში ქებითაა მოხსენიებული ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა გამოსვლები. რედაქციამ გადაწყვიტა მკითხველს გააცნოს შარშანდელი სპორტული სეზონის გმირები ჭიდაობის ოთხივე სახეობაში და მოკლედ აღნიშნოს მათი გამარჯვებები.



## კლასიკური ჭიდაობა

ურყევნალი წარმატებებით აღნიშნეს გასული სპორტული სეზონი ჩვენი რესპუბლიკის „კლასიკოსებმა“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლა მოხდა, ახალგაზრდობამ მზარდი ოსტატობა და ბრძოლის უნარი გამოავლინა: ბევრმა მათგანმა უკვე მოასწრო თავისი სიტყვის თქმა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

მარტში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში (ეს შეჯიბრებები მოეწყო გდრ-სა და იტალიაში) საქართველოს წარგზავნილებმა ნ. მაჭარაშვილმა, თ. აფხაზავამ, თ. კიკნაძემ, მ. სალაძემ და ა. მინასიანმა I ადგილები მოიპოვეს.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ჭაბუკებმა კლაიპედის საკავშირო ჩემპიონატში. ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ე. მაჩაიძე, თ. ტურიაშვილი, ა. მინასიანი.

გამარჯვებით აღინიშნა საქართველოს ნაკრების გამოსვლა ახალგაზრდობის საკავშირო სპორტულ თამაშებშიც (ალმა-ათა). ჩვენმა გუნდმა 138 ქულით I ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა ტალინში. აქ დიდ წარმატებას მიაღწია მძიმეწონოსანმა შ. მორჩილაძემ, რომელმაც ოქროს მედალი დაიმსახურა. აღნიშნულ ტურნირში მ. სალაძემ და ე. გოგლიჩიძემ ვერცხლის მედლები მიიღეს. შ. მორჩილაძემ კიდევ ორჯერ ისახელა თავი — ევროპის ჩემპიონატში (ჰელსინკი) ოქროს მედლის კავალერი გახდა, მსოფლიო ჩემპიონატში (თეირანი) კი ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირში ოთხმა ქართველმა ათლეტმა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. ესენი არიან: ჯ. მეგრელიშვილი, ო. ბლიაძე, გ. და შ. მორჩილაძეები.

შარშანდელ სპორტულ სეზონში წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში (მაიამი-ბიჩი) მოპოვებული გამარჯვებები. იქ თ. ლეჟავა და მ. სალაძე ოქროს მფლობელები გახდნენ, ხოლო ნ. ბაბიაშვილი და თ. კიკნაძე — ვერცხლის პრიზიორები.

ჩვენი მეხსიერებიდან ჯერაც არ წაშლილა საქართველოს „კლასიკოსთა“ ტრიუმფი ჩელიაბინსკის საკავშირო გუნდური თასის გათამაშებაში. რესპუბლიკის ნაკრებმა კლასიკური ჭიდაობის ისტორიაში პირველად მოიპოვა გარდამავალი პრიზი. საქართველოს გუნდების ღირსებას ამ ტურნირში იცავდნენ: თ. კოლუაშვილი, ვ. ბლაგიძე, რ. აბრამიშვილი, თ. წიწილაშვილი, ე. მაჩაიძე, თ. აფხაზავა, თ. ტურიაშვილი, ნ. ბაბიაშვილი, მ. სალაძე, ა. მაისურაძე (ახალგაზრდული ნაკრები), ა. ჩალაური, შ. გიგოლაშვილი, ვ. მაჭარაშვილი, ჯ. მეგრელიშვილი, ბ. ლეკვეიშვილი, თ. ლეჟავა, თ. მაჭავარიანი, ო. ბლიაძე, ე. გოგლიჩიძე, შ. მორჩილაძე (უფროსთა ნაკრები).

დაბოლოს, კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება: საქართველოს დინამოელთა ტრიუმფი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, სადაც მათ საპატიო ჯილდო დაისაკუთრეს. ჩვენი ნაკრების ღირსებას ამ შეხვედრებში იცავდნენ: ვ. ბლაგიძე, ვ. გაბისიანი, ჯ. მეგრელიშვილი, ბ. ლეკვეიშვილი, თ. ლეჟავა, თ. კიკნაძე, ე. გოგლიჩიძე, მ. სალაძე, ა. მაისურაძე.

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოს“ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდი — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი. დგანან (მარცხნიდან) — მ. სალაძე, ა. დათიაშვილი (მწვრთნელი), ვ. ბუხნიკაშვილი (დელეგაციის ხელმძღვანელი), თ. ქურციკიძე, ა. მაისურაძე, ე. გოგლიჩიძე; პირველ რიგში — ჯ. მეგრელიშვილი, თ. ლეჟავა, ბ. ლეკვეიშვილი, თ. კიკნაძე, ვ. ბლაგიძე.

გ. ყორყოლიანის ფოტო.

## ძიუდო

ძიუდო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა საბჭოთა ქვეყანაში. მისი „იმპორტი“ ამომავალი მზის ქვეყნიდან დაახლოებით 60-ანი წლების დამდეგს დაიწყო და განპირობებული იყო იმით, რომ იაპონელებმა, XVIII ოლიმპიადის მასპინძლებმა, ეს სახეობა თამაშების პროგრამაში შეიტანეს.

მას შემდეგ საჭიდაო სამყაროში ძალთა სერიოზული გადაჯგუფება მოხდა. ზოგმა სამბისტმა თავისი საჭიდაო ჩოხა ძიუდოს კიმონოზე გაცვალა და სამუდამოდ გამოეთხოვა სახეობას, რომელმაც იგი დიდ სპორტში მოიყვანა. ასე ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ძიუდოისტის სახე, რომლის პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს დიდ სარბიელზე მოჰყვა წარმატებები, სახელოვანი გამარჯვებები.

ძიუდო საბჭოთა ქვეყანაში უკვე აღარაა ახალი ხილი. საბჭოთა ოსტატები წარმატებით მონაწილეობენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ ტურნირებში, სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობაში.

საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ცხოვრებაში ერთ-ერთ მთავარ როლს საქართველოს ათლეტები ასრულებენ. მათ დიდი ხვედრითი წონა აქვთ საკავშირო ნაკრებ გუნდებში და დიდი დამსახურებაც მიუძღვით საერთო წარმატებებში.

ამ მხრივ საგულისხმო იყო შარშანდელი სეზონიც. თებერვალში თბილისში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ათლეტებმა. ჩვენმა ძიუდოისტებმა ამ ასპარეზობაში სამი I, ერთი II და სამი III ადგილი დაისაკუთრეს. ტურნირში ჩემპიონები გახდნენ შ. ფიცხელაური, რ. ხარშილაძე და შ. ჩოჩიშვილი. II ადგილი დაიკავა გ. გოგოლაურმა, ხოლო III — ა. მარტყოფლიშვილმა, ჯ. ხორბალაძემ და ისევ შ. ჩოჩიშვილმა (აბსოლუტურ წონით კატეგორიაში).

იმავე წლის თებერვალში ჩვენი ძიუდოისტები დარმშტადტს (გფრ) ეწვივნენ და მონაწილეობა მიიღეს დიდ საერთაშორისო ტურნირში. ა. მარტყოფლიშვილმა, გ. გოგოლაურმა და ჯ. ნიჟარაძემ I ადგილები დაისაკუთრეს, ა. წიკლაური და ა. მუზაევი II ადგილებზე გავიდნენ, ხოლო რ. ოდიშელიძეს და ჯ. ხორბალაძეს III ადგილები ხვდათ.

მაისში მადრიდში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი. წარმატება აქაც ერთობ საგულისხმო იყო: შ. ფიცხელაური და გ. გოგოლაური ჩემპიონები გახდნენ (გუნდურ ჩათვლაში). პირად პირველობაში ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს შ. ფიცხელაურმა და შ. ჩოჩიშვილმა. ბრინჯაოს ჯილდოები ერგოთ გ. გოგოლაურს, ჯ. ნიჟარაძეს და ა. მუზაევს.

ორი თვის შემდეგ ლოზანაში გაიმართა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი, რომელშიც ჯ. ნიჟარაძეს ვერცხლის მედალი ხვდა, შ. ფიცხელაურს კი — ბრინჯაოსი.

მაგრამ გასული სეზონის მთავარი მოვლენა მაინც I საკავშირო ჩემპიონატი (კიევი) იყო, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ძიუდოს ოფიციალურ ისტორიას საბჭოთა ქვეყანაში. პირველ დამფუძნებელ ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენებმა ჯილდოების დიდი ნადავლი „მოხვეტეს“. სულ ამ ჩემპიონატში საქართველოს ძიუდოისტებმა 10 მედალი მიიღეს, მათ შორის — 2 ოქროსი, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი. ლაურეატთა შორის ისევ და ისევ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს ვხვდებით. ჩემპიონობა მოიპოვეს შ. ფიცხელაურმა და გ. ონაშვილმა, ვერცხლის მედლები მიიღეს რ. ხარშილაძემ და ა. მუზაევმა, ხოლო ბრინჯაოსი — კ. შაბურიშვილმა, გ. გოგოლაურმა, ა. ბარკალაევმა, გ. ზაგაშვილმა და ჯ. ნიჟარაძემ (ორი — მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში).

## სამბო

შარშანდელი წელი სამბოს ისტორიაში შევა, როგორც პირველი მსოფლიო ჩემპიონატის წელი. სამბო დიდ სარბიელზე გავიდა და ამ მნიშვნელოვან მოვლენას აქტიურად გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკა. თეირანის დამფუძნებელ ჩემპიონატში ოქროს მედლებით დაჯილდოვდა ორი ქართველი ათლეტი — გ. გიორგაძე და ლ. თედიაშვილი.

მანამდე კი საქართველოს წარმომადგენლებმა წარმატებით აღნიშნეს თავიანთი გამოსვლები რამდენიმე საკავშირო ტურნირში.

თებერვალში მაიკოპში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა რ. ხარშილაძემ. მან ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის ჯილდო ერგო გ. თანდელოვს, ბრინჯაოსი — ჯ. ხორბალაძეს.

აპრილში სსრ კავშირის იუნიორთა პირველობას ყაზანი მასპინძლობდა. აქ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 6 საპრიზო ადგილი დაიკავეს. I ადგილები ხვდათ: ა. ბარკალაევსა და რ. ჭიკაიძეს, II — ტ. ცინცაძეს, ხოლო III — ჯ. კბილაშვილს, ზ. ბახტაძეს და ნ. ელიბაშვილს.

3 თვის შემდეგ ჩერნოვციში ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი გაიმართა. საქართველოს სამბისტთა წარმატება აქაც საგულისხმო იყო. გ. დელიბაშვილი და გ. იობიძე გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ, დ. ბოლოველსა და ბ. ბუგავას კი III ადგილები ერგოთ.

## თავისუფალი ჭიდაობა

სეზონი ტრადიციულად თებერვალში დაიწყო თბილისის საერთაშორისო ტურნირით. ამ დიდ ფორუმში წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ათლეტებმა: ი. ლეგაშვილმა, ა. ილურიძემ და ნ. მოდებაძემ.

ორიოდე თვის შემდეგ ნ. მოდებაძემ თავი გამოიჩინა კონტინენტის ჩემპიონატში (ლოზანა), სადაც I ადგილი დაიკავა. იმავე ტურნირში III ადგილზე გავიდა რ. დობორჯგინიძე.

აპრილში ფრუნზეში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა. ჩვენმა მოჭიდავეებმა 5 ჯილდო დაიმსახურეს. I ადგილებზე გავიდნენ: თ. ქონიაშვილი და ნ. ბუთხუზი, II ადგილები წილად ხვდათ ტ. გზირიშვილს და გ. შოშიტაშვილს, ხოლო ა. წყაროზიას — III საპრიზო ადგილი ერგო.

საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა ივნისში კრასნოიარსკის სარბიელზე. საქართველოს მოჭიდავეებმა ამ ასპარეზობიდან თბილისში ოთხი მედალი ჩამოიტანეს — ერთი ოქროსი (ლ. თედიაშვილი), ორი ვერცხლისა (ვ. მარშანია და ნ. მოდებაძე) და ერთიც ბრინჯაოსი (მ. ჩხაიძე).

ივლისში ალმა-ათაში გაიმართა სსრ კავშირის ახალგაზრდული პირველობა, რომელშიც ჩვენმა გუნდმა II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ახალგაზრდული ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ი. მაღალაშვილი და ვ. იმერლიშვილი, ხოლო ბ. სულაქველიძემ, ა. ავსაჯანიშვილმა, ა. ჭუაძემ II ადგილები დაიკავეს.

ზაფხულში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოეწყო. ერთ-ერთ შეჯიბრებაში, რომელსაც ბულგარეთი მასპინძლობდა, ვ. მარშანიამ გაიმარჯვა; მინსკის ტურნირში ე. კიკაბიძეს I ადგილი ხვდა, მ. ჩხაიძეს კი — II.

აგვისტოში იუნიორები ამერიკის შეერთებულ შტატებში იყვნენ, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ა. ჭუაძეს მიეკუთვნა.

ლ. თედიაშვილმა და ნ. მოდებაძემ მსოფლიო უნივერსიადა (მოსკოვი) მოიგეს. სახელოვანი ქართველი ფალავნის — ლ. თედიაშვილისთვის სეზონის მიღწევები ამით როდი ამოიწურა. თანაგუნდელ რ. დობორჯგინიძესთან ერთად მან ჯერ მსოფლიოს გუნდური თასის (აშშ) გათამაშებაში გაიმარჯვა, მერე კი თეირანის მსოფლიო ჩემპიონატში 2 ოქროს მედალი დაიმსახურა: ერთი — თავისუფალ ჭიდაობაში, მეორე — სამბოში.

ირანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში პირველი იყო ნ. მოდებაძე.

დაბოლოს, სსრ კავშირის გუნდური თასის გათამაშების შესახებ, რომელსაც ნოემბერში კიევი მასპინძლობდა, საქართველოს ნაკრებმა ამ ასპარეზობაში II საპრიზო ადგილი დაიკავა. სარბიელზე გამოდიოდნენ: ახალგაზრდებში — ა. კაპანაძე, ა. ოთიაშვილი, რ. გოგრიჭიანი, ა. გილაური, გ. ხარებავა, ვ. იმერლიშვილი, თ. ლომიძე, მ. მეკოკიშვილი, ვ. რეხვიაშვილი, ა. ქვილითაია; უფროსთა გუნდში — ბ. სულაქველიძე, მ. ჩხაიძე, რ. დობორჯგინიძე, დ. ყვარელაშვილი, რ. მელაშვილი, ტ. როსტომაშვილი, ა. ილურიძე, ვ. მარშანია, ზ. ნიკურაძე, ნ. მოდებაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი

# სადღეისო და სამერმისო ამოცანები

ამას წინათ თბილისში გაიმართა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III და ზაფხულის VI სპარტაკიადებისთვის საქართველოს სპარტაკელთა მზადებისა და ამ საზოგადოების აჭარის ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საკითხებს.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მეგრელაძე. მან თქვა, რომ „სპარტაკი“ საქართველოს ნაკრებს დიდი შეჯიბრებებისთვის მუდამ სათანადო შევსებას აძლევს. ამ ტრადიციის განმტკიცებისთვის საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები ახლაც ენერგიულად იბრძვიან. წლეულს სპარტაკელებმა 100-ზე მეტ დიდ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და საპრიზო ადგილებიც საკმაოდ დაიკავეს.

მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა სპარტაკელთა მონაწილეობა საქართველოს პროფსაბჭოს სპარტაკიადაში, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის პროფკავშირელ სპორტსმენთა ძალების პირველი დიდი შემოწმება იყო. სპარტაკელებმა ძიუდოსა და საგზატკეცილო ველორბოლაში ყველას აჯობეს, ქართულ ჭიდაობასა და ფარიკაობაში II ადგილები დაიკავეს, ძალოსნობასა და თავისუფალ ჭიდაობაში კი — III.

აღინიშნა, რომ ველოსიპედისტთა და მოფარიკავეთა გუნდებს საზოგადოებრივი მწვრთნელები ო. სუჯაშვილი, ლ. გეგეშიძე და ვ. ქოჩიაშვილი ავარჯიშებდნენ. „სპარტაკის“ საქართველოს ორგანიზაციებში საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობა საერთოდ ფართოდ გავრცელდა (41 რაიონული საბჭო სწორედ ასე მუშაობს). მართალია, ეს ფორმა მაინცდამაინც ნაყოფიერი არ არის, მაგრამ ზოგიერთი საზოგადოებრივი მუშაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ხშირად შტატით მომუშავეებსაც სჯობნიან. ითქვა ისიც, რომ „სპარტაკში“ საზოგადოებრივი საქმიანობის ასე გავრცელება პირველ ყოვლისა სახსრების უკმარობის ბრალია.

მომხსენებელმა ილაპარაკა დიდი სტარტებისთვის მზადების პერიოდში საზოგადოების სპორტსმენთა წარმატებებზე. მან განსაკუთრებით აქო გ. დელიბაშვილი, რომელმაც სამბოში იუნიორთა შორის საკავშირო ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მომხსენებელმა შეაქო ს. სარხოიანი, რომელიც მაგიდის ჩოგბურთში სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, აგრეთვე, მოჭიდავე ზ. ნიკურაძე, მოფარიკავე ა. გაგულაშვილი და სხვები, რომლებიც საქართველოს ნაკრების კანდიდატები არიან.

პლენუმზე ითქვა, რომ სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში კარგად მუშაობენ მწვრთნელები: შ. ნოზაძე, მ. ოსიყმაშვილი, ო. ლომთაძე, ვ. კობიაშვილი, გ. კალმახელიძე, ო. სუჯაშვილი, ლ. გეგეშიძე, ვ. ქოჩიაშვილი, ო. გულისაშვილი, თ. არაბული, რ. გალუსტოვი, ვ. თიბილოვი, ს. ცხადაძე, გ. ერქომაიშვილი და მ. თავართქილაძე.

როცა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების საქმიანობაზე ლაპარაკობდა, ა. მეგრელაძემ აღნიშნა ქუთაისის საბჭოს კარგი მუშაობა, თქვა, რომ ეს ქალაქი რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებს მუდამ კარგ შევსებას აძლევს. დაწინაურდა სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციაც, რომელმაც წლის მანძილზე ნაკრებს 10 სპორტსმენი მისცა. მათგან ორმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

საზოგადოების ფიზკულტურის კოლექტივებს შორის მოწინავენი არიან სპორტული კლუბები „სინათლე“, „მშენებელი“, „ისინდი“, აგრეთვე, საფინანსო-ეკონომიური, მსუბუქი მრეწველობის, ვაჭრობის ტექნიკუმების, სავაჭრო-კულინარული და № 1 სამედიცინო სასწავლებლების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს მისდამი დაქვემდებარებულ სასწავლებლებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის სათანადოდ გაშლას, რითაც „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოს ძალიან ეხმარება. სწორედ ამ ზრუნვის შედეგია, რომ თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმს 1972 წლის შედეგების მიხედვით საკავშირო კომპლექსურ კონკურს-დათვალიერებაში I ადგილი მიეკუთვნა.

— 1974 წელს „სპარტაკის“ ორგანიზაციები კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშავებენ, — განაგრძობს მომხსენებელი, — გაიხსნება კრივის, ძალოსნობის, ჭიდაობის ბავშვთა სპეციალური სპორტსკოლები და მათი ჯგუფები თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში; შეიქმნება დამატებითი ჯგუფები მძლეოსნობაში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში, სპორტთამაშებში, ძალოსნობასა და სხვა სახეობებში.

ა. მეგრელაძემ აღნიშნა ის მიზეზებიც, რაც ამ საზოგადოების წინსვლას ჯერ კიდევ აფერხებს. მან თქვა, რომ დიდ სპორტში „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ძირითად დასაყრდენად ჯერჯერობით მაინც თბილისი რჩება. აფხაზეთის საოლქო საბჭოში მუშაობა თვითდინებაზე იყო მიშვებული, რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებს იგი არავითარ შევსებას არ აძლევდა ტანვარჯიშში, ჭიდაობაში, ცურვაში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობაში. ამ საზოგადოების ყოფილმა თავმჯდომარემ შ. დვალაძემ გაგრაში თვითნებურად გააუქმა ფარიკაობის ჯგუფი.

უკეთესი მდგომარეობაა აჭარაში, თუმცა მთელ რიგ სახეობებში კარგი ტრადიციები იქაც დათმეს.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ქუთაისის საქალაქო საბჭო სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონისთვის. მაგალითად, მან გაიხსენა, რომ ქუთაისელმა მოკრივე მამარდაშვილმა პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა თვითნებურად მიატოვა, რის გამოც „სპარტაკის“ გუნდი V ადგილს დასჯერდა. ა. მეგრელაძემ აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთში ჭიდაობის კარგი ტრადიციები გაქრა; ცუდად მუშაობენ სამტრედიის, ბორჯომის, ტყიბულის, სიღნაღის რაიონული, ზუგდიდისა და გორის საქალაქო საბჭოები, რომლებიც წლების მანძილზე არავითარ შევსებას არ აძლევენ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებს.

ითქვა, რომ საქართველოს ჯანმრთელობისა და კულტურის სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში ფიზკულტურის სწავლებისა და სპორტული საქმიანობის გაშლისთვის ნაკლებად ზრუნავენ.

ა. მეგრელაძემ ილაპარაკა სპარტაკიადებისთვის მზადებაში სპორტული ბაზების როლზე, აღნიშნა, რომ „სპარტაკსა“ და მის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ამ მხრივ საქმე სახარბიელოდ როდი აქვთ. ამ საქმეში მთავარ დასაყრდენს სპორტკლუბი „სინათლე“ წარმოადგენს. ქალაქის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს (უფროსი მ. ჩიკვაიძე) ზრუნვის წყალობით კლუბს კარგი ბაზები აქვს. შენდება კრივის დარბაზი, კაპიტალურად არემონტებენ სპორტთამაშების დარბაზს. „სინათლეში“ სპორტის 14 სახეობაა დანერგილი, მაგრამ უწინდებურად აღარც ეს სპორტკლუბი მუშაობს — ბევრ სახეობაში მოწინავე პოზიციები დათმო.

მომხსენებელმა ილაპარაკა ცურვის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშისა და სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სხვა სახეობების მდგომარეობაზე, ინვენტარის ნაკლებობაზე.

— სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III და ზაფხულის VI სპარტაკიადებისთვის მზადება, ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ნაკრები გუნდების შევსებისთვის ზრუნვა ყველა კოლექტივის, ყველა სპორტსაზოგადოების ამოცანაა და მისი გადაწყვეტისთვის ყველამ თავდაუზოგავად უნდა იბრძოლოს. „სპარტაკმა“ უნდა მიაღწიოს იმას, რომ რესპუბლიკის ნაკრებს ახლა მეტი შევსება მისცეს, ვიდრე წინა სპარტაკიადაში, — დაამთავრა მოხსენება ა. მეგრელაძემ.

მეორე საკითხზე სიტყვა მიეცა „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჯოჯუას.

— მშდ ახალი კომპლექსის შემოღებისთანავე აჭარის ორგანიზაციებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ კომპლექსის პროპაგანდას, — აღნიშნა ე. ჯოჯუამ. — ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეების, მეთოდისტების, აქტივისა და ფაბრიკა-ქარხნების ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარები, რომლებსაც 157 კაცი დაესწრო; საწარმო-დაწესებულებებში შეიქმნა ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელი ჯგუფები.

ბათუმის „დინამოს“ სტადიონი და „განთიადის“ აუზი ნორმატივების პირველ ჩამბარებელთა განკარგულებაში იყო, მაგრამ სტარტებმა ფიზკულტურელთა სუსტი მომზადება გვიჩვენა: 992-დან ნორმატივები მხოლოდ 247 კაცმა ჩააბარა. ეს ფაქტი საერთო მსჯელობის საგნად იქცა.

ე. ჯოჯუამ მოწინავედ დაასახელა ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი (დირექტორი ნ. გოგიტიძე, ფიზკულტურის მასწავლებლები ზ. შენგელია და ზ. კაჭარავა), სადაც 348 მოსწავლიდან პირველივე წელიწადს ნორმატივები 204-მა ჩააბარა.

ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის 344, ხოლო მუსიკალური სასწავლებლის 300 მოსწავლიდან ნორმატივები შესაბამისად 81 და 43 ახალგაზრდას აქვს ჩაბარებული. სულ 1972 წელს „სპარტაკის“ ორგანიზაციებში მხოლოდ 432 ნიშნოსანი მომზადდა და წლიური გეგმა შეუსრულებელი დარჩა.

როგორც საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ჩამორჩენის მიზეზი იყო ნორმატივების ჩამბარებელთა მეტად დაბალი ფიზიკური მომზადება, სპორტული ბაზების უკმარობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1973 წელს საქმე გამოსწორდა: უკვე 1 დეკემბრისთვის კომპლექსის ყველა ნორმატივი 1300 კაცს ჰქონდა ჩაბარებული. განათლების მუშაკთა პროფკავშირმა დავალება ძირითადად საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მოსწავლეთა ხარჯზე შეასრულა, ხოლო სკოლებისა და სასწავლებლების მასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლები კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ვერ ჩაება.

ე. ჯოჯუამ ილაპარაკა იმაზეც, რომ პროფკავშირის დარგობრივ კომიტეტებს, რომელთაც „სპარტაკის“ აჭარის საბჭო უწევს მომსახურებას, თითქმის ყოველწლიურად აუთვისებელი რჩებათ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის განკუთვნილი სახსრები. მაგალითად, 1973 წელს გამოყოფილი იყო 41 ათას მანეთზე მეტი, მაგრამ სამ კვარტალში ამ თანხის მხოლოდ 37 პროცენტი დაიხარჯა. პროფკავშირის ცხრა კომიტეტიდან ფიზკულტურული საქმიანობის ხელმძღვანელი მხოლოდ ორს ჰყავს, რის გამოც ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული.

საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტთა შტატში აყვანის საკითხი ბევრ ორგანიზაციაში მოუგვარებელია. მაგალითად, რესპუბლიკურ, № 1, ბავშვთა სავადმყოფოებს, ტაქსომოტორებ ის პარკს, № 2655 ავტოსატრანსპორტო კოლონას, რომლებშიც 500-დან 1000-მდე კაცი მუშაობს, ფიზკულტურის მეთოდისტები არ ჰყავთ.

ე. ჯოჯუამ გააკრიტიკა საწარმო-დაწესებულებების დირექტორები, ადგილობრივი კომიტეტები, კომკავშირული, სამოქალაქო თავდაცვის შტაბისა და დოსააფის ორგანიზაციები, რომლებიც მშდ კომპლექსის დანერგვას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზკულტურელთა სამედიცინო მომსახურებას. იყო შემთხვევები, როცა ნორმატივების ჩასაბარებლად ექიმის მიერ შეუმოწმებელი მუშა-მოსამსახურენი დაუშვეს.

ორივე საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა მ. კიპაროიძემ, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ფიზიკური მომზადების ინსპექტორმა ა. კავთიევსკიმ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. ოსიყმაშვილმა, თბილისის სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა პედაგოგმა ლ. ნადირაძემ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგემ ჰ. ანანიაშვილმა, სპორტსმენმა გ. დელიბაშვილმა, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის განყოფილების უფროსმა ვ. ხომერიკმა, „სპარტაკის“ ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ბუციანმა.

მათ ილაპარაკეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადებაზე, აღნიშნეს ის მიზეზები, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებას. მ. კიპაროიძემ აღნიშნა, რომ ნორმატივების ერთ წელიწადში ჩაბარებას არ უნდა მოითხოვდნენ: ეს ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. მ. ოსიყმაშვილმა აღნიშნა, რომ სპარტაკელმა მოჭიდავეებმა პოზიციები დაკარგეს. მანვე გააკრიტიკა საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის დროს მოჭიდავე შ. პაპაშვილის საქციელი. აღნიშნა, რომ პაპაშვილი ამ ხულიგნობისთვის „სპარტაკის“ ნაკრებიდან გარიცხეს და მისი საქმე ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს გადასცეს.

ჰ. ანანიაშვილის გამოსვლა სპორტული ბაზების სიმცირესა და ამ ნაკლის გამოსწორებისთვის ბრძოლას, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში ჩამორჩენის მიზეზების მხილებას მიეძღვნა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ი. ბოჭორიძე.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

# იზარდე, მწვანე ჯეჯილო!

დასასრული

ტისტიკის მიხედვით, აშკარად ძლიერი აღმოჩნდა მეორეზე. და მაინც, რა მოხდა ფრენბურთის მოედანზე, რატომ წააგო ასე მწარედ ფავორიტმა გადამწყვეტი მატჩი? დიახ, გადამწყვეტი და არა რიგითი, რადგანაც ყირგიზეთის გუნდმა მოსკოველთა დარად ამ მატჩამდე მხოლოდ ერთხელ იწვნია მარცხი საქართველოს ნაკრებთან.

ვერ ვიტყვით, რომ მოსკოველები აგდებულად მოეკიდნენ პრინციპულ მატჩს, ანდა მაქსიმალურად არ ჰქონდათ შეგნებული მისი მნიშვნელობა. და მაინც, აწყობილი მექანიზმი ერთი მატჩის მანძილზე თვალსა და ხელს შუა მოიშალა. ამ მექანიზმში რაღაც „გატყდა“ უკვე მატჩის დასაწყისში. მაინც- რა? მოსკოველები მართებულად თუ უმართებულოდ ფიქრობდნენ, რომ ყირგიზეთის გუნდს „ნებაყოფლობით“ უნდა დაეთმო ინიციატივა და იერიშის უფლება უფრო მაღალი რეპუტაციის გუნდისთვის გადაელოცა. ყირგიზებმა კი, რომლებსაც დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ (მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში შეეძლოთ ფინალში გასვლა), არც აციეს, არც აცხელეს და თავად შეუტიეს მეტოქეს. მერე როგორ შეუტიეს! მთელი ტურნირის მანძილზე მოსკოველთა გუნდი ასე არავის შეუშფოთებია. მთელი მატჩი „ცალ გოლში“ თამაშს დაემსგავსა, რაზედაც ანგარიშიც მეტყველებს.

უკვე მერე, ტურნირის დამთავრების შემდეგ, „პედანტი“ მსაჯები ბუღალტრული სიზუსტით დათვლიან ქულებს, წაგებულ-მოგებულ პარტიებს და საერთო ბალანსს გამოიყვანენ. აღმოჩნდება, რომ ტურნირის სამ მონაწილეს — საქართველოს, მოსკოვისა და ყირგიზეთის გუნდებს 4-4 მოგება დაუგროვდებათ და ერთი წაგების ტვირთი ექნებათ ზურგზე წამოკიდებული. და მხოლოდ მოგებული პარტიების რაოდენობა მისცემს ფინალის ორ საგზურს საქართველოსა და ყირგიზეთის ფრენბურთელებს. მესამე „ზედმეტი“ გამოდგება. რა ვუყოთ, ასეთია ტურნირის ულმობელი კანონი.

ზემოთ მოგახსენეთ თავისებური „ჯაჭვური რეაქციის“ შესახებ, რომელიც გამოიწვია ყირგიზეთ — მოსკოვის მატჩის შედეგმა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ხატოვანი გამოთქმაა. უბრალოდ, ერთი და იგივე დღეს ერთ სენსაციას მეორე მოჰყვა. ისევ 3:0! ამჯერად სენსაცია შემოგვთავაზა სომეხ ჭაბუკთა გუნდმა, რომელსაც უკრაინელებთან შეხვედრამდე არც ერთი მოგება არ ჰქონდა. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ წინა მატჩი (ყირგიზეთი—მოსკოვი) თავისი ხასიათით, მიმდინარეობით, შინაარსით ორი წვეთი წყალივით ჰგავდა უკრაინა — სომხეთის შეხვედრას. მხოლოდ ერთხელ, მეორე პარტიაში, უკრაინელები, თითქოს „ხუნდები ახსნესო“, თავისუფლად ათამაშდნენ, მაგრამ ეს სუსტი გაბრძოლება აღმოჩნდა. უკრაინის ძლიერი გუნდი მატჩის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე შეურიგდა მარცხს. თუმცა, არც მოსკოველებისა და არც უკრაინელების ფიასკო ექსტრაორდინალურ შემთხვევად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ახალგაზრდების ტურნირებში ვინ იცის, რა არ ხდება...

დიდი სიხარულია საქართველოს გოგონებისა და ჭაბუკების გულშემატკივართა „ბანაკში“. მართლაც გვასახელეს ვაჟებმა, რომელთაც უმძაფრეს ბრძოლაში ყველა პესიმისტური პროგნოზი გააქარწყლეს და I ადგილი დაიკავეს. კრასნოდარის ფინალურ საკავშირო შეჯიბრებას ისინი ხვდებიან „ოქროს ქულით“, რომელიც ზონალური ტურნირის მეორე პრიზიორთან — ყირგიზეთის გუნდთან შეხვედრაში მოიპოვეს. ჩვენმა გოგონებმა ერთი საფეხურით დაბალი ადგილი დაისაკუთრეს, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა ფინალში გასასვლელად. ქების მეტი რა გვეთქმის ქართული ფრენბურთის ჯეჯილზე. გაზეთის უახლოეს ნომერში ჩვენ უფრო დაწვრილებით გესაუბრებით საქართველოს ნაკრები გუნდის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე. ახლა კი ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ ზონალური ტურნირის შედეგები.

გოგონათა შეჯიბრების ნამდვილი მშვენება იყო ტაჯიკეთის ნაკრები გუნდი. ეს არის შეხმატკბილებული, სინქრონული კოლექტივი, რომელსაც ასაკის კვალობაზე იოლად როდი მოუძებნით ნაკლს. მისი საბოლოო გამარჯვება თავიდანვე არავითარ ეჭვს არ იწვევდა. ტაჯიკეთის გოგონები სამართლიანად გახდნენ მიკროტურნირის ჩემპიონები. მეორე პრიზიორი — საქართველოს ნაკრები, — რამდენადმე ჩამოუვარდებოდა თამაშის საერთო კლასით გამარჯვებულ გუნდს, თუმცა შეჯიბრების სხვა მონაწილეებთან შედარებით აშკარად ძლიერი იყო და ამიტომ მის მეორე ადგილს არავინ გაუნაწყენებია.

ა. გოგელია.



სურათზე: ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ჰასტინგსი-74

● ჰასტინგსი, 10 იანვარი. მოჭადრაკეთა საახალწლო ტურნირის მე-11 ტურში კუზმინი ყაიმზე შეუთანხმდა ტიმანს (ჰოლანდია). ასეთივე შედეგით დამთავრდა ქალ—ბასმანის (ინგლისი) და საბო (უნგრეთი) — გარსიას (კუბა) პარტიები. მომდევნო ტურში ტალმა სძლია ინგლისელ სტინს. ამ გამარჯვებით ტალი დაეწია ერთპიროვნულ ლიდერს, საბჭოთა დიდოსტატ კუზმინს, რომელმაც უარეს მდგომარეობაში გადადო პარტია გლიგორიჩთან. ლიდერებს 8,5-8,5 ქულა აქვთ.

● სიდნეი, 10 იანვარი. 13 წლის ავსტრალიელმა მოსწავლე გოგონამ ჯ. ტურალიმ ამ ქალაქის საცურაო აუზში გამართულ ახალი სამხრეთ უელსის შტატის პირველობაში 1500 მეტრი თავისუფალი სტილით 16.48,2-ში გაცურა. ეს შედეგი 1,7 წამით უკეთესია ამ საცურაო აუზში იმავე ტურალის მიერ ერთი თვის წინათ დამყარებულ მსოფლიო მიღწევაზე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ბინებს ამოწმებენ

არგენტინის, ურუგვაის, შოტლანდიის, ჰოლანდიისა და შვეციის დელეგაციები ჩავიდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც შეარჩიეს სასტუმროები და ბაზები თავიანთ ფეხბურთელთა დასაბინავებლად და სავარჯიშოდ მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ამას გარდა, დელეგაციებმა დაათვალიერეს მინდვრები, სადაც მათ თამაში მოუწევთ.

### ერთნაირი ზომისა

მსოფლიო ჩემპიონატის დებულების მე-17 თავისა და II ქვეთავის თანახმად ამ შეჯიბრების ყველა მატჩი ზუსტად ერთი ზომის მინდვრებზე უნდა გაიმართოს: სიგრძე — 105 მეტრი, სიგანე — 68 მეტრი.

### იტალიელი მწვრთნელი

ჰაიტის ნაკრების გასვლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა რიგებში დიდი სენსაცია იყო. ცნობილი გახდა, რომ ამ გუნდს წვრთნის იტალიელი სპეციალისტი ეტორე ტრევიზანი. მას ეხმარებიან ადგილობრივი მწვრთნელები ტასი და ცუპინი.

### კრაკოვის „სპორტის" აზრით

კრაკოვის „სპორტის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად პოლონეთის № 1 ფეხბურთელად მიჩნეულია დეინა. მომდევნო ადგილებზე გავიდა ნაკრების კიდევ ორი ფეხბურთელი — ჩმიკევიჩი და გადოხა.

### მინდორზე გარდაიცვალა

პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩში „პორტოსა" და „სეტუბალს" შორის უბედური შემთხვევა მოხდა. გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი ფეხბურთელი, ნაკრების თავდამსხმელი პავაო.

### ბალინტი — № 1

ბუდაპეშტის გაზეთ „ნეპშპორტის" მრავალრიცხოვან მკითხველთა გამოკითხვის შედეგად უნგრეთის № 1 ფეხბურთელად მიჩნეულია „ფერენცვაროშისა" და ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი ბალინტი. მეორე ადგილზეა „დოჟა უიპეშტისა" და ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ბენე, მესამეზე — „ჰონვედისა" და ნაკრების ნახევარმცველი ლ. კოჩიში.

## მელბურნის კორტებზე...

დამთავრდა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალთა ერთეულებში პირველი იყო ი. გულაგონგი (ავსტრალია), ვაჟთა ერთეულებში — ჯ. კონორსი (აშშ). ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს გულაგონგმა და პ. მაიკლმა (აშშ), ხოლო ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ავსტრალიელები რ. კეისი და ჯ. მასტერსი.

აღსანიშნავია, რომ გულაგონგი უკვე იყო იტალიისა და საფრანგეთის ჩემპიონი, მოგებული აქვს უიმბლდონის ტურნირიც, მაგრამ თავის ქვეყანაში უძლიერესის სახელის მოპოვება მხოლოდ ახლა შეძლო.

## ი. ი. ხიმშიაშვილი



გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი, საქართველოში მაგიდის ჩოგბურთის განვითარების ერთ-ერთი ენთუზიასტი ირაკლი ირაკლის ძე ხიმშიაშვილი.

იგი დაიბადა 1916 წლის 21 იანვარს თბილისში. სპეციალობით კავშირგაბმულობის მუშაკი ახალგაზრდობაშივე გაიტაცა მაგიდის ჩოგბურთმა და შესამჩნევ წარმატებებსაც მიაღწია. 1952 წელს გახდა საქართველოს პირველი ჩემპიონი და ეს ტიტული რამდენიმე წლის მანძილზე შეინარჩუნა.

ი. ხიმშიაშვილი ღირსეულად იცავდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საერთაშორისო შეხვედრებში, საკავშირო ჩემპიონატში. იგი იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი და თავმჯდომარეობდა საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიას; დიდხანს მუშაობდა განათლების სამინისტროს ხაზით უფროს მწვრთნელად; ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას და დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის მედლებით.

ეს კეთილი, თავისი საქმის მოყვარული ადამიანი დიდხანს ემახსოვრებათ მის მეგობრებსა და ამხანაგებს.

## შეიარაღებულ ძალებს ეძღვნება

საკავშირო პროფსაბჭომ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 56-ე წლისადმი მიძღვნილი თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ერთთვიურის ჩატარების თაობაზე, რომელიც დაიწყება 23 იანვრიდან. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, დოსააფის კომიტეტების უფრო მჭიდრო კავშირს სამხედრო ნაწილებთან, გემების ეკიპაჟებთან, თავდაცვით-სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, მშდ კომპლექსის დანერგვას საბჭოთა ადამიანების ყოფაში.

ერთთვიურის დროს უნდა ჩატარდეს ავტო, მოტო- და სათხილამურო სააგიტაციო გადასვლები, ექსკურსიები და ტურისტული გადასვლები რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ალკკ და დოსააფის კომიტეტებს წინადადება მიეცათ სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად იზრუნონ იმისთვის, რომ ერთთვიურის დღეებში უფრო ხალხმრავალი იყოს სპორტული ღონისძიებები — სასპარტაკიადო შეჯიბრებები ზამთრის სახეობებში, მშდ კომპლექსის მასობრივი სტარტები.



### „ოქროს ბუცის" ლაურეატები

სამი „ოქროს ბუცი" მოხვდა რჩეულთა ხელში. ეს კანონზომიერიცაა, ვინაიდან სწორედ ამ სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი გასულ სეზონში თავიანთი ქვეყნების პირველობებში და ბომბარდირის სახელი მოიხვეჭეს. სპორტის მოყვარულები უთუოდ კარგად იცნობენ ამ ფეხბურთელებს, რომელთაც ასეთი წარმატება პირველად არ მოუპოვებიათ. აი ისინიც (სურათზე — მარცხნიდან): გერდ მიულერი („ბაიერნი", მიუნხენი), ეუსებიო („ბენფიკა", ლისაბონი) და პეტარ ჟეკოვი (ცდნა, სოფია).

გამარჯვებულებმა მოოქრული ბუცები პარიზში გამართულ სპორტულ ზეიმზე მიიღეს. თავისი 40 გოლის წყალობით „მეფედ" ბომბარდირთა შორის ეუსებიო ალიარეს.



## ობიექტივში მსოფლიო

### რა უხარია ტორნბერის?

რა გასაკვირია, რომ კაცმა, განსაკუთრებით სპორტსმენმა, სიამოვნებით გაიცინოს გამარჯვების ან დიდი წარმატების შემდეგ. მაგრამ ავსტრალიელ პროფესიონალ მოკრივეს ტრევო ტორნბერის ნამდვილად არა აქვს სიცილის საბაბი — ფრანგმა პერომ მას მესამე რაუნდში ნოკაუტით მოუგო და თან მარცხენა თვალიც ასე „გაულამაზა": ტორნბერი არც ისე ახალგაზრდაა და ეს ალბათ მისი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ვინ იცის, იქნებ სწორედ ის უხარია, რომ უკვე აღარ მოუხდება რინგზე გამოსვლა?

## სპორტლოტო

### მორიგი ტირაჟები

მოსკოვი, 10 იანვარი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" 37-ე და „სპორტლოტო-2"-ის მე-9 ტირაჟები. გაგაცნობთ შედეგებს.

„სპორტლოტო": 3 (აკრობატიკა), 8 (კრივი), 14 (ფრენბურთი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 31 (ცურვა), 49 (შაში).

„სპორტლოტო-2": 6 (კალათბურთი), 10 (საბუერო სპორტი), 30 (აფროსნობა), 31 (ცურვა), 39 (სამბო), 45 (ფეხბურთი).

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის მასწავლებლის ნახევარ განაკვეთზე ფსიქოლოგიის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელეფონი: 22-31-60, 22-00-76.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია—93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.